საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №151/2021

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ „სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის" რეგისტრაციის თაობაზე

ქ. თბილისი 2021 წლის 11 აგვისტო

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-40 მუხლის მე-3, 3[1], მე-8 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი ორგანიზაციის **ა(ა)იპ „სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის"** მიერ 2021 წლის 10 აგვისტოს წარმოდგენილი **№048** განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №2394) საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსი ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში შემდეგ ორგანიზაციას:

ა(ა)იპ „სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი".

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი კალანდარიშვილი**
კომისიის მდივანი	**გიორგი ჯავახიშვილი**